ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3172354

ნომერი: AR1486614

თარიღი : 15.03.2017

გაცემის თარიღი : 05.04.2017

გაცნობის თარიღი : 05.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კახაბერ ბერუჩაშვილი პ/ნ 01027019012
- თბილისი ვარკეთილის მას. ზემო პლატო II მ/რ კორ. 25 ბ. 65

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 ივნისის #01/779 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017

წლის 15 მარტის #AR1486614 განცხადებით მომართა კახაბერ ბერუჩაშვილმა და მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 ივნისის #01/779 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2009 წლის 22 ივნისის #01/779 ბრძანებით, შეთანხმდა ქალაქ თბილისში, სოფ. დიღომში, ამხანაგობა „ქვაკუთხედი“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. #442) დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის არქიტექტურული პროექტი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882014084965, მომზადების თარიღი: 20/02/2014 10:15:11) თანახმად, ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი 01.72.14.036.442) მესაკუთრეს წარმოადგენს ი.ბ.ა „ქვაკუთხედი“. აღნიშნული ამხანაგობის თავმჯდომარე/გამგეობის თავმჯდომარეა კახაბერ ბერუჩაშვილი, რომელიც სამსახურს მომართავს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს 2009 წლის 22 ივნისის #01/779 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს კახაბერ ბერუჩაშვილის მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე კახაბერ ბერუჩაშვილის 2017 წლის 15 მარტის #AR1486614 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2009 წლის 22 ივნისის #01/779 ბრძანება.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.